



არ ამჯობებ.  
განიბო მუსტაფაიძე

საქართველოს ზღვის დაცვაში სურვილი არ უნდა იქნას,  
ხოლო სურვილია, რომ სურვილი იქნას

# უიუზიბუქა და ვასტაბუქა

რაიონის ღრამაბუჩი და მისი რედაქციები.



ეროვნული  
ბიულეტენი

ქალაქ კაკალეთის თეატრის სალონთან შემდეგი განცხადება: „ყველა ბილეთები გაყიდულია“ ვადაყიდველებს კი უღვაშებში ჩუმიდ ეცინებათ, ხოლო ადმინისტრაციის კარებში შავი არსებობა-ნი გულის დამაღონებელი წარწერა იპრობს ყველას ყურადღებას: „ყველა სახის კონტრამარკები გაუქმებულია... რასაც ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ უახლოეს ნათესაებს, ნაცნობებს და მეგობრებს... ფოიე. აუდიტორია და თამბაქოს ბოლი. პირველი ზარი. ურამული ვასტაბუქამ და უიუზიბუქამ გაშალეს პროგრამა:

— პინაიტ პანტელიჩის წასვლა! ეს იმის მაუწყებელია, ძმაო, რომ ამ პიესაზე დროს დაკარგვა მავნებლობაა, მე მივდივარ, რჩები თუ წამოხვალ?

— მოიცა კაცო, არაფერი გინდა დაწერო, რომ გარბინარ?

— მე ვიცი როგორი რეცენზიის ღირსია ასეთი სპექტაკლი. მწვიდობით! — და უიუზიბუქამ დემონსტრაციულად დასტოვა დარბაზი.

\* \* \*

მეორე დღეს ახმაურდა პრესა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უიუზიბუქას კრიტიკამ. იგი ასე იწყება: „სულმნათმა შოთამ დასწერა უკვედავი პოემა ვეფხის-ტყაოსანი (იხილეთ რუსულ-ქართული ლექსიკონი გვ. 586) რაც არ შეიძლება მიეწეროს სულხან საბა ორბელიანს. განა ამის შემდეგ საჭიროა იმის მტკიცება, რომ სერგეი ალექსანდრეს-ძე პუშკინი დაბადებული 1799 წ. 26 მაისს ძველი სტილით, არ იყო გენიალური პოეტი, რომელსაც იუბილზე ეხლახან გადაუხადეს? ან და ვინ შემედავება იმაში, რომ სერვანტისის ღონკიხოტი მიგუელ სერვანტისის კალამს ეკუთვნის და არა იოანე გუტემბერგს? მართალია კანტი დრამატურგი არ იყო მაგრამ სამაგიეროთ პითაგორე ბერძენი იყო. და ბოლოს შექსპირი. განა ჩვენ, კრიტიკოსებს, შექსპიროლოგებს, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვილიამ შექსპირი დიდი კვანძისტი დრამატურგი არ იყო? კვანძისტი და მერე როგორი კვანძისტი და ბოლოს თამამად უნდა განვაცხადოთ, რომ ნიკოდიმოს ბაზალეტისტიპირელის პიესა, რომელიც ჩვენ გუშინ თეატრმა გვიჩვენა არის... ამით აიხსნება ის გარემოება რომ.. ამ პიესის დადგმით თეატრმა... ერთი სიტყვით ის ნაბიჯი რომელიც რეე... მოკლეთ სპექტაკლი ყოველად უვარგისია.

„უიუზიბუქა“.

მაგრამ უიუზიბუქას გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორე გაზეთში ვასტაბუქას კონტრ-რეცენზია შენიშნა.

— ნუ თუ ეს ცხადია და არა სიზმარი? რაო? ნიკოდიმოს ბაზალეტისტიპირელის პიესა ფრიად საინტერესოა? ჰმ! უყურეთ ახლა იმას! მოიცა შეგვხვდეთ ერთი აბა რა დღე დაგვყენო! — ცხარობდა უიუზიბუქა და აოცებდა ის გარემოება, როგორ შესძლო პიესაზე საკუთარი აზრის გამოთქმა ვასტაბუქამ, როდესაც წარმოდგენა დასტოვა ისეთმა კომპენტენტურმა პიროვნებამ და გავლენიანმა პირმა, როგორც არის პინაიტ პანტელიჩი!! არა. სანამ არ ვნახავ მაგ უპრინციპოს. ცრუპენტელას, მანამ ვერ მოვისვენებ! — აიღო ქული და ჯოხი ხელში და კარები გაიხურა.

— ბიჭო, ვასტაბუქა, ასე რამ გავრეცხა ნამუსისაგან, არ გრცხვენია? მარა შენ რა ეშმაკი შეგარცხვენს სირცხვილისდონი შენ მგონი ჭადიკ არ გიჭამია შენს სიცოცხლეში. რამ დაგაწერია ბიჭო, ასეთი რეცენზია?

— შენ როგორც წადი, ბიჭო, მეც გამოგყევი უკან, ერთიც ვნახოთ პინაიტ პანტელიჩი შემეხეჩა კარებში.

— როგორ? საიდან?

— საიდან როგორ პინაიტ პანტელიჩი — თქვენ ხომ მეორე მოქმედების დაწყებამდე წადით? — შევეკითხე. პანტელიჩი კი იღიმება და ჩურჩულით მეუბნება: რალაც ეშმაკათ რესტორან „ძღომაზე ჭამაში“ ვისადილე და კუჭი მაქვს აშლილი და ამიტომ გამოვედი, შემდეგ ბევრი ვემუდარე კონტრალორს, მაგრამ, რადგან სპექტაკლი დაწყებული იყო აღარ შემომიშვაო... შემდეგ მიმიწვია თავის ლოჯაში და დასძინა, საინტერესო პიესაო და სინანული გამოსთქვა, რომ მეორე აქტი გამოსტოვა. და მთხოვა მოკლე შინაარსი შეამზენა. მეც მეორე მოქმედების შინაარსი ვუამბე და სპექტაკლის დამთავრებამდე დავრჩი მასთან.

— მერე, შე უნამუსოვ, რა დიდი საქმე იქნებოდა, ბიჭო, წუხელისავე შეგეტყობინებინა ჩემთვის, ეგ ამბავი? აჰ!..

მის. გოგიაშვილი.

2 ოქტომბერი. 1937-38 წ. სეზონი

ნიკოდიმოს ბაზალეტისტიპირელი.

## ღრმა კომპოზ

კინოთეატრამატიული კრიალოსანი 4 ანტრაქტად.

**მოამბედნი:**

**პიპინქოსა** — ავტორ-იუმორისტი, პასუხისგებაში არ ყოფილა „გოფილეგთის“ ქვეშევრდომი — სხვამიწერს ჩემადვასაღებაშივილი.

**ნიბლია** — მისი ქალიშვილი, 12 წლის, უპარტო, პარაშუტისტა — ა. მიმოზელი.

**ქინასუსა** — რაიმუქის თავმჯდომარე, მორწმუნე 85 წ. მეალიმენტე — ო. ნილოსელი

**ლიანა** — ყრუ-მუნჯი, ცნობათა ბიუროს გამგე — ნ. კვიროსელი

**ჯონ ვალსონ**, — უცხოელი, ლავაშების დამტარებელი — ს. ვიზნარელი

**კვიროსი** — რაიგაზეთის სტილისტი, წ. კ. უცოდინარი — შ. ბუჩქნარელი.

**იპოლიტე** — დალაქთა არტელი: „ვაიმე ყბაოს“ ინსტრუქტორი — ნ. დაფნარელი.

ერთი ადგილობრივი ცხედარი საშუალო განათლების უცოლო, ერთი ესკიმოს გამყიდველი და ერთიც მოსაბმელ ვაგონის თანაკონდუქტორი.

**დადგმა** — ანტრაქტიონ გრძელიძის.

ფოიეში: ბუფეტი და საპირფარეშო.

ადმინისტრატორი — რედკოლეგია.

პროგრამის კითხვა არ ჰქონდათ დასრულებული, როდესაც ვასტაბუქამ მუჯღუფუნით ანიშნა უიუზიბუქას. ორთავე ფიცხლავ წაშოიჭრნენ და მიჰყვნენ კვალდაკვალ პინაიტ პანტელიჩს. მესამე ზარი. სინათლე ქრება. პარტერში შეტევა სწარმოებს წინა რიგების დასაჭერად. ფარდის ახდისას პინაიტ პანტელიჩის ლოჯას ორი წყვილი თვალი მისჩერებია, თვალების პატრონები ჩვენთვის უკვე ცნობილი უიუზიბუქა და ვასტაბუქა გახლავთ.

- ბიჭო ვასტაბუქა!
- რა იყო უიუზიბუქა?
- კარგად ადევნე თვალ-ყური პინაიტ პანტელიჩს, მგონი მოსწონს პიესა.
- ე ბიჭო, იღიმება, შეხედე! შეხედე! ბლოკნოტი ამოიღე..
- ხომ გეუბნებოდი დიდებული პიესაა-თქვა, მომეცა ფანქარი...

\* \* \*

მეორე მოქმედების დროს, ამაოდ მისჩერებოდნენ უიუზიბუქას თვალები იმ ლოჯას, რომელშიაც ამ რამოდენიმე წუთის წინ ფრიად ავტორიტეტული პირი პინაიტ პანტელიჩი განიცხრომებდა.

— ბიჭო ვასტაბუქა! პიესა არ ვარგა ხომ იცი შენ! გადაუჩურჩულა უიუზიბუქამ.

— რა არ მოგწონს, დადგმა თუ თამაში? — ჩურჩულითვე შეეკითხა ვასტაბუქა.

„ღამსნელი არაუმინი“.

პროკურორმა ასე დაამთავრა საბოლოო სიტყვა: — ფაქტი დადასტურდა, რომ ქონების გაყოფის ნიადაგზე ბრალდებულმა მოჰკლა დედ-მამა და ერთადერთი ძმა. სასამართლოს წინაშე დგას გადაგვარებული პიროვნება, რომელსაც ადამიანთან მხოლოდ ფიზიკური მსგავსება აქვს.—და პროკურორმა მოითხოვა მკაცრი სასჯელის გამოტანა.

— რას სთხოვ სასამართლოს?— შეეკითხა ბრალდებულს სასამართლოს თავმჯდომარე პროცესის დამთავრების შემდეგ.

ბრალდებული ერთხანს ენას ვერ იღებდა. ვერაფერი მოენახა თავის დასაცავად სათქმელი. ბოლოს, უცბად წელში გაიმართა და სასამართლოს სთხოვა:


— თქვენს წინაშე ვდგავარ საწყალი კაცი, რომელსაც არა მყავს არც დედა, არც მამა და არც ძმა, ამიტომ გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩემი ობოლბა და შემიმსუბუქოთ სასჯელი.

„ღამსასურმეული“.

ასამართლებდნენ მშენებლობის მომარაგების გამგე ჯამშაძეს, რომელსაც ბრალად ედებოდა საამშენებლო მასალების მითვისება და საკუთარი სახლის აშენება.

— სოციალისტურ მშენებლობაში მეც მიმიღია მონაწილეობა, — ამბობდა სასამართლოს წინაშე ბრალდებული, — დიდი ხანია ვმუშაობ, მაგრამ ასეთი საქმე ჯერ არ ჩამიდენია. ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაზე მეც მიმიტანია ერთი-ორი აგური. ამიტომ გთხოვთ...

აქ პროკურორმა შენიშვნა ესროლა ბრალდებულს: — „ორი აგური“ მოიტანე და ათასი უკან წაიღე! ეგ რა დახმარებაა?— მოუჭრა სიტყვა პროკურორმა.



როგორ ამარაგებენ იაპონელები მათ მიერ ჩინეთში დაკავებულ ტერიტორიაზე სკოლებს „სახსწავლო ნივთებით“.

არჩვა მანჯუგოს ჯარითა...

როდესაც იაპონია — მანჯუგოს ჯარების მიერ სიუანის დასაპყრობად წინსვლის შესახებ იაპონიის მინისტრს, არიტას შეეკითხნენ, მან სთქვა: „აქ იაპონია არავითარ შუაში არ არის, რადგან სიუანს უტევენ მანჯუგოს ჯარები საზღვრების მოუწყვსრიგებლობის ნიადაგზე-ო. ჩვენ კი—დასძინა მან—მანჯუგოს საზღვრების შელახვას გულგრილად ვერ შევხვდებით და მას გაფაციცებით ვაფენებთ თვალსო“.

(გაზეთებიდან).

ეს იყო წარსულში, წინაზე, მაგრამ ფაქტს იმდენი სინაზე, იმდენი სინორჩე სჩვევია, რომ დღესაც კი გული მწვევია, მივხედო ამ საგანს წამითა. სიფრთხილევ, სიფხიზლევ ამითა იზრდება საქოთა მკითხველის: ვინა მტრობს ჩვენს საქმეს, ვინ შევლის, ვინ არის მშვიდობის მოყვარე, ვინ კიდევ—ნადირის მოგვარე, თუმც დადის თავისთვის განზედა და სიტყვებს კი ისვრის ბანზედა...

და ამბობს, და მჯელობს არიტა, ხელებს ქნევითაც ცხარითა: „ჩვენ ვზრუნავთ“ მანჯუგოს საზღვრებზე, მეზობელთ თვით სულის დაძვრებზე. მათ სურვილ-განზრახვა-მიზნებზე, მათ წყლებზე, მთებზე-თუ მიჯნებზე. ხედვაც, ვით სადგისი, გვისვია, მხოლოდ ეს „სადგისი“ სხვისია! „სადგისი“ მანჯუგოს ხელშია, დამბახაც გაჩრილი წელშია და ხელშიც ხმალი თუ შაშხანა... სად სჩანს აქ ვთქვათ, ჩვენი ქარხანა

საკუთარს თოფსა თუ ხანჯალზე დაყრდნობით იბრძოდა საზღვარზე, უტევდა რა მაშინ სიუანს, დაპყრობაც რომ სურდა, დღეს ვით სჩანს! რადგან დღეს „არიტა“ ჯარითა ჩინეთის მთითა, თუ ბარითა, რომ იწვევს დაყრდნობით ყამაზე, ცხადია, ვერ იტყვის ამაზე, რომ ესეც მანჯუგოს ჯარია!.. საბუთი აქ ესდენ მყარია (თუმც მიწაც ქვეშ ესდენ მერყევი!), რომ ფიქრებს მაზედ რომ შევყევი,

და როცა მას ვიჭერთ რამეში, როგორც ქურდს, მპარავს ბნელს ღამეში, ვით ამას გვიმტკიცებს არიტა, საბუთით ასეთი მყარითა, რომ სიტყვის ზედ დაძვრაც ძნელდება, მაშინ ის ქეზს იბამს, ლელდება,

ან ჩვენი ჯარების ფეხები? ეგ ზომ სულ მანჯუგოს გლეხები, ხალასი მანჯუგოს ჯარია!“ და მართლაც საბუთი მყარია და დავაც მეტია ამაზე: მანჯუგო საკუთარს ყამაზე,

საქვეყნოდ შევსძახი „არიტებს“, რომ პასუხს თავს ტყვილად არიდებს, ვინც მათებრ რომის ცეცხლს აჩალებს! ცხვრის ტყავშიც იცნობენ ყაჩაღებს!..

ზიპო.



— „რა კარგია ქვიფობა,  
კაკლის ქვეშ რომ წვიმა ცრიდეს,  
მე გავიხდი შენ ჩაგაცმევ,  
ბარაშკაჯან, არ შეგცივდეს...“

— კარგი, დააყენე არღანი... მე ახლა მარ-  
თლა ბარაშკები უნდა მოვნახო, — ამბობდა  
შეზარხოშებული მოქვიფე და ამხანაგებს ემ-  
შვიდობებოდა: დაბარებული მყავს, ჩემი პი-  
რიმზე... ბოდიში ამხანაგებო!

დარდიმანდულად ამოვიდა კიბეზე, უკვე  
ლამის 2 საათი იყო.

ჩვენმა ნაცნობმა დარდიმანდმა მიიხედ-  
მოიხედა და ბარბაცით გაუდგა გზას. მას და-  
ეწია ახალგაზრდა ქალი.

— აი ბარაშკა!.. შენ გეძებ! — მიუბრუნ-  
და იგი ქალს.

ქალმა პასუხი არ გასცა.

— გოგო, პაილომ?..

ქალი გზას აგრძელებს.

— ნე უზნალ? არ მოგწონვარ? წავიდეთ,  
გავისეირნოთ... დრო გავატაროთ...

— მოქალაქევ, თავი დამანებეთ! წადით  
სახლში!

— წავიდე?.. მერე შენ მიგატოვო? ხომ  
მოგვედი უშენოდ!

დარდიმანდმა ხელი სტაცა ქალს. სწორედ  
ამ დროს მათ დაეწიათ ახალგაზრდა კაცი,  
სახანძრო დარგის მუშაკი პავლე გოგლიძე.  
პავლე მაშინვე დაეტაკა ხულიგანს. მოვიდა  
მილიციელი. — „შეყვარებული“ მილიციაში  
წაიყვანეს, ოქმი შეადგინეს, და ქალი და  
პავლე გოგლიძე სახლში გაუშვეს.

ქალი მადლობით გამოეთხოვა ამ პატიოსან  
მუშაკს, რომელმაც შეასრულა თავისი — საბ-  
ჭოთა მოქალაქის მოვალეობა და ხულიგანს  
თავისი ადგილი მიუჩინა.

\*  
\* \*

გავიდა ხანი, პავლეს დაავიწყდა კიდევ ეს  
ამბავი. მშვიდად და ტკბილად ცხოვრობს იგი  
თავის მეუღლესთან: მუშაობს, თეატრებში  
დადის. აღუშფოთველია მისი ცხოვრება.

მაგრამ ერთ დღეს, როდესაც, პავლე შინ არ  
იყო, მისმა მეუღლემ მილიციიდან მიიღო  
ჯარიმის ქვითარი. მილიცია იტყობინებოდა,  
რომ სახანძრო საქმის მუშაკი პავლე ქუჩაში  
ქალის შეურაცხყოფისათვის დაჯარიმებულია  
25 მანეთით!

გაფითრდა ქალი.  
— უი ჩემი სიკვდილი! რა მოგივიდა შვი-  
ლო? — მიიღბინა ქალთან მისმა დედამ.  
— არაფერი... აი ეს ქვითარი...

პავლეს პატივცემულმა სიდედრმაც გაიგო  
ყველაფერი. და განა მარტო სიდედრმა?!  
საქმის კურსში შევიდნენ მეზობლებიც, რომ-  
ლებიც ერთიმეორეს უჩურჩულებდნენ, რომ  
პავლე გოგლიძე, რომელიც ყველას უმანკო  
კარგი ეგონა, დასდევს ქალებს და ამ მიზეზით  
არა ერთი და ორი ღამე გაუთევია მილიციის  
სამორიგეოში.

— მამა-აბრამის ბატყნად რომ მოჰქონდა  
თავი!.. თურმე სულ ქალებს დასდევს... აგერ  
ჯარიმაც მოუვიდა! — ლაპარაკობენ მეზობ-  
ლები.

გაგიჟდა კაცი. ამტკიცებს, რომ ქალისათვის  
მას კი არ მიუყენებია შეურაცხყოფა, არამედ  
პირიქით, მან დაიცვა ეს ქალი მთვრალი ხუ-  
ლიგნისაგან. შეშლიათ მილიციის მუშაკებს.

— ჰმ! შეშლიათ! სწორედ მაგისთვის სტა-  
ლიათ, რომ უსათუოდ შენზე შეეშალოთ! —  
ჯავრობს პავლეს სიდედრი. — რა ხალხი  
მთხოვდა ქალს და არ მივეცი! პატიოსანი ყა-  
ცი მეგონე, შენ კი მუსუსი ყოფილხარ, ქუ-  
ჩაში ქალებს დასდევ! სირცხვილი შენი!..

— დედას გეფიცები არ მიქნია... რას ამ-  
ბობთ აღამიანო? სამსახურიდან მოვდიოდი,  
დავინახე, რომ ხულიგანი ქალს ეტორტმანე-  
ბოდა, დავიჭირე და მილიციაში წავიყვანე, შე  
რა შუაში ვარ?

— რა შუაშია სიდე...  
არ ყოფილიყავი, ხელს ცრანც გახლენდა. კარ-  
მასეთ სიძეს მე ვერ გავიჩერებ!..

საქმე გაყრამდე მივიდა. მაშინ კი გადას-  
წყვიტა პავლემ მიემართა იმ ქალისათვის  
რომელიც მან იხსნა. მონახა მისი სამსახური  
ადგილი და სთხოვა წამოსულიყო სახლში  
რომ თვითონ აეხსნა საქმის მდგომარეობა.

ქალი მართლაც წამოვიდა და პავლეს მე-  
უღლეს აუხსნა ყველაფერი. გამოირკვა საქ-  
მე. მღელვარება მოისპო. პავლეს მეუღლე  
დამშვიდდა. მან დაინახა, რომ მისი ქმარ-  
მართალი იყო.

მაგრამ იმ მომენტში სახლში არ იყო პავ-  
ლეს სიდედრი. მას არ გაუგია და არ მოუ-  
სმენია ახსნა-განმარტება და დღემდეც ეძლუ-  
რის ამ „საშინლად არშიყ“ სიძეს.

რა იცის მან, რომ ქალაქის მორიგე  
ლამეს ოქმი და ჩვენებები მილიციის მეათ-  
განყოფილებას გადაუგზავნა! რა იცის მან  
რომ მეათე განყოფილებაში, მორიგე მჭედ-  
ლიძემ შეცდომით პავლეს დააჯარიმა, რო-  
გორც ხულიგანი და ამ ჯარიმის ქალაღმ-  
განყოფილების უფროსმა ამხ. ცქიტვილიშმა  
მოაწერა ხელი!

ალ. ნარიმანიძე

## „ხელისუხეხლელი“

ზოგიერთ რაიონის კლუბში ადგილი აქვს ლოთ-  
ბას და ხულიგნობას.



— გაუშვი კაცო! დააგვიანდება, დღეს ალკოგოლიზმის წინააღმ-  
დეგ მოხსენება უნდა გააკეთოს.

ტრამვაით მიდიოდნენ ისინი, ერთ ვაგონში ისხდნენ. ბიჭმა თვალი გაუსწორა გოგოა, ისარი გაუყარა თვალში და ორივემ მორცხვად ჩაღუნეს თავი. წინა ბაქანიდან ასულმა გოგომ სამშაუროანი მიაწოდა ბიჭს და სთხოვა კონდუქტორისთვის გადაეცა. ხელი ხელს მოხვდა, ელექტრობამ იჩინა თავი და გულუბნა იგრძნეს სიახლოვე.

— თქვენ ჩადიხართ? — იკითხა ვაჟმა.  
— რასაკვირველია, — იყო ქალის პასუხი, — ნარდათ ხომ არ მაქვს ვაგონი ნაყიდი, დღე-ღამე აქ ხომ არ ვიჯდომები!..  
ორივემ გაიცინა.

და ფიქრებში გართულ ვაჟს არ შეუმჩნევია, როგორ გაიარა ვაგონმა ის გაჩერება, სადაც უნდა ჩამოსულიყო ახალგამიჯნურებული.

ვაჟი ავიაციის მუშაკი გახლდათ, პარაშუტისტი. ქალის ვინაობა კი გაურკვეველი იყო.

— მე თქვენ საიდანღაც ვიცნობთ, ქალიშვილო...

— სასიამოვნოა...  
— თქვენ რას გეძახიან?  
— ნაცნობის სახელს არ კითხულობენ...  
ვაჟმა დარცხვენით ჩაღუნა თავი, მაგრამ ველარ მოითმინა და კვლავ იკითხა:  
— სად შეიძლება თქვენი ნახვა?  
— ყველგან, სადაც კი მე ვიქნები...  
— კლუბში განხულობთ ხოლმე ხშირად.  
— დიახ, ხანდახან დავდივარ...

გამომშვიდობების წინ ხელი გაუწოდეს ერთი-მეორეს და ორმა ბაგემ ორი სიტყვა წარმოსთქვა მექანიკურად:

— ვალოდია...  
— მარო...

ისევ სიცილი დაუფიქრებლობის გამო და განშორება...

მეორე დღეს მოუთმენლად ელოდნენ ერთი-მეორეს კლუბში. და შეხვდნენ კიდევ.

მოგეხსენებათ. რა ძნელია სასაუბრო თემის გამოჩახვა ახალგაზრდობიდან: მეტადღე თუ ყველას და ყველაფერს გირჩევნიათ ეს ახალგაზრდობილი. და თავად არ ვიცო რის შესახებ დაიწყეს იმით პირველად ლაპარაკი. ეს კი შევიტყვე, რომ იმ დღეს მრავალი სასაუბრო თემა გამოცვალეს და სახლში წასვლის წინ სიყვარულზე მიდგა ჯერი.

— ტკბილია მარო სიყვარული...  
— თქვენც ადვილად და შეიყვარეთ ვინმე...  
— რომ არავე მიყვარებს?  
— თავხედი ნაცნობები გყოლიათ...  
— თქვენის გამოკლებით მგონი — და კლასიკოსები მოიშველა ვაჟმა სიყვარულის საკითხში.

— საბრალოა... — სთქვა მან და „სიყვარული“ უნდა განეგრძო შოთას სიტყვებით, მაგრამ მარომ დაამთავრა წინადადება:

— უცოლო კაცი... — თქვა მარომ და ორივემ გაიცინა.

მცირე პაუზის მერე, საუბრის თემა შესცვალა ქალმა:

— თქვენ პარაშუტისტი ხართ, არა ვალოდია?

— დიახ...  
— ძნელია პარაშუტისტობა?  
— სიყვარულზე უფრო არა.  
— ეს რას ნიშნავს, რომ ხუთმეტრი გაწერია?

— ხუთმეტრ ვადმოხტომას.

— უშიშარი ყოფილხართ... ძალიან მაღლიდან ხტებით ხოლმე?

— რეასორმოცდაათ მეტრიდან, მაღე ნორმას მომიმატებენ, უფრო მაღლიდან ჩამოვხტები...

ნახევარ საათს მინც იარეს ჩუმად, როგორც იყო ვაჟმა დაარღვია სიჩუმე:

— მარო, ხატრი გაქვთ ჩემი?  
— როგორც თქვენ ჩემი.  
— მაშ მითხარით „ჰო“.  
— ჰო.  
— მე თქვენ მომწონხართ, მარო...  
— ჰო...  
— თქვენ ჩემი უნდა გახდეთ, მარო...  
— არა...

\* \*

ვაჟი სამუდამოდ შეეგუა „არას“. ორ კვირას დარდობდა, ერთ კვირას ფიქრობდა და თვის ბოლოს გაახსენდა, რომ „არა“ ქალების „ჩვეულებრივი პასუხია“. ქალი კი ყოველდღე დადიოდა კლუბში და ათას მაცურებელში ეძებდა ერთს, რომ ხელმეორედ ეთქვა „არა“.

და აი, კვლავ შეხვდნენ ერთი-მეორეს. ახლა ქალი აქტიურობდა:

— მეთექვსმეტედ ვადმოხტარხართ უკვე?  
— დიახ, ათას ორას მეტრიდან...  
— ყოჩაღ... თქვენ ძალიან ადრე გცოდნიათ ვაგულისება. განა ვინც ცოლად არ გამოგყვებათ იმას აღარ უნდა შეხვდეთ?.. თითქმის მომწყინდა უთქვენოთ...

— რატომ იცით ქალებმა ტყუილად „არას“ თქმა? განა სავალდებულოა თვეობით აწვალოთ ვაჟები და ათასი „არა“ ერთი „ჰოთი“ დაამთავროთ?!

ქალს, რასაკვირველია ეწყინა, რომ ასე უცბად მიუხვდა ვაჟი, მოილუშა და უსიტყვოდ გააგებინა ვალოდია: „სუ ამლაშებო“.

ვაჟმა „შეცდომის“ გამოსწორება დაიწყო:

— არ გეწყინოთ, ეს ჩემი საკუთარი აზრი კი არ არის, რომელიღაც დიდ მწერალს უთქვამს: ქალი ჩრდილსა ჰგავს, მიჰყვები მიდის, გამობრუნდები და წამოგყვებაო...

მარომ ახლა სიტყვიერი საყვედური უთხრა

„დამლაშების გამო“. ვაჟმა ბოდიში მოიხადა და მორიდდნენ.

ერთ დღეს ვალოდია საზამთროს ყიდულობდა ბაზარში.

მაროც საზამთროს სასყიდლად მივიდა საკოლმეურნეო წერტილში..

მისალმების მერე ვაჟმა საზამთრო აუჩიოა ქალს. თავისთვისაც იყიდა. ორივეს ფულს ვაჟი იხდიდა, ქალმა არ დაანება:

წამოვიდნენ, საზამთროები წამოიღეს.

ვალოდიამ თხოვნა დაუწყო მაროს: მომეცი, მაგ საზამთროსაც მე წამოვიღებო. ქალი უარზე იდგა. ვაჟმა იძალა, ორივე საზამთრო დაუვარდათ, ორივე გასკდა და პატრონები გაახარა.

— ეს რა არის, მეჩვიდმეტედ ვადმოხტით?  
— დიახ, ორიათას მეტრიდან.  
— ყოჩაღ... ვალოდია, ისევ ისე გიყვარვარ?  
— უფრო მეტად...  
— მეცოდები, ხო იცი შენ...  
— თუ გეცოდებით დამიმტკიცეთ...  
— ასე უცბად როგორ შეიძლება... მომეცი ერთი თვის ვადა, ვიფიქრებ...

ვაჟს აღარაფერი უთქვამს, თვალეში ჩააშტერდა, მაგრად ჩამოართვა ხელი და განშორდა.

მეორე საღამოს კლუბში შეხვდნენ ერთი-მეორეს.

ვაჟს ახალი ნიშანი ეკრა გულზე. ნიშანზე „18“ ეწერა.

და ქალმა ჰკითხა:  
— ეს რა, მეთვრამეტედ ჩამოხტით?  
— დიახ, ოთხათას მეტრიდან...  
— ყოჩაღ... ვალოდია, მე მოვიფიქრე...  
— მოიფიქრე.

და უკანასკნელი სიტყვები ხმის კანკალით უთხრა „არას“ მოლოდინით შეშინებულმა ვაჟმა:

— მ.. მარო... ვა.. გ..ამ...ომეც ც...ც...ოლ...  
— ?  
— ჰა?  
— ჰო!..

სიხარულისაგან დაიბნა ვალოდია. თავი ჩაღუნა და კარგა ხნის შემდეგ გაბედულად სთქვა:

— ხომ გითხარი ქალებმა ტყუილი „არას“ ძახილი იციან-მეთქი, მე ბედნიერი ვარ!..

მარომ ასე განმარტა „არას“ მიზეზი:

— რას იზამ, ხომ ვაგიგონია: „თხა თხაზე ნაკლები მეგელმა შეჭამოსო“. მე მაშინვე ვიყავ ოთხათას მეტრიდან ვადმოხტარი და ჩემზე ნაკლებ ბიჭს როგორ ვაყვებოდი?..

მეც და ვალოდიამაც მხოლოდ მაშინ შევიტყეთ, რომ მაროც პარაშუტისტი იყო...

იმჟამად მაროც ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ვალოდიას ყოველდღიური ცხარეობა.



ერთერთ დაწესებულებას  
ყავდა ერთი დირექტორი...  
(მე ერთს ვამბობ, თორემ სხვებიც  
ვიცი არა ერთი-ორი.

რომ დღემდის და, ალბათ, კვლავაც,  
იბოგინებს საქმის თავად...  
მე ერთზე ვწერ და იმ სხვებთან  
ვრჩები ჯერ ხან უკაცრავად!..)

ღიას, დაწესებულებას  
ყავდა ერთ დირექტორი,  
ხებრე, ტლანქი, ქედმაღალი,  
ვის უნახავს, მისი სწორი!

დადიოდა, ვით სხვა მამლის  
მძლე-მთრეველი მამლაყინწა,  
ისე თითქოს მის სიმძიმეს  
ძლივს იტანდა დედამიწა...

თანამშრომლებს რომ უბღვერდა,  
იდგა, როგორც ბულა-ხარი,  
თვის წინ წელში თითო მაინც,  
ცხრა-ცხრად ყავდა მონახარი!

მლიქვნელებს და გაიძვერებს  
თვის გარშემო ისე კრებდა,  
თითქოს ქვეყნად უკვდავყოფელ  
თალათინის ძველს იგებდა.

მაგრამ ვაი... ვაი არა,  
შენს პირს თაფლი და შაქარი:  
არჩევნების დღე მოვიდა,  
ყველასათვის გასახარი...

საიდუმლო, თანასწორი,  
ყველასათვის პირდაპირი,  
ლარივით რომ ხაზს ატარებს,  
ისე როგორც ბირდაპირი.

ყველას სახეს მზის სხივებად  
მოეფინა მისგან შვება,  
რას მიქვიან მის წინაშე,  
დირექტორის თავაშვება!..

ძველი ქედი, ძველი ბღვერა,  
ძველი ნირი, ძველი ხედვა  
ჩვენმა დიდმა დირექტორმაც  
თითქოს მალლა სხვენზე შედვა.

და მოიქნა, და მორბილდა,  
როგორც ვარცლში ცომის გუნდა,  
გრძნობს, რომ რაღაც ცხოვრებაში  
მოტრიალდა, შემობრუნდა,

რომ ადრინდელს იმის ქცევებს  
აღარა აქვს გასავალი,  
რაღაც უნდა მოაგვაროს,  
რომ დაფაროს ძველი კვალი...

და „ვერიკა“!.. ეცა გულში,  
აძვრა თავში, გაძვრა ყურში...

და იმავ დღეს ახალ შლაპით  
გამობრწყინდა სამსახურში!

ხედავს მასა, რომ დირექტორს  
თუმც ახალი ხურავს შლაპა,  
წინ კი მაინც ხალხს, ამრჩეველს,  
ძველებურად გაეტყლაპა!

ეგონა, თუ ამ გვარ ქცევით  
დაფარავდა თვის ძველს ბღვერას,  
და იმედით ქვეშ იქ, მკერდშიც  
მოუმატა გულმა ძვერას...

მაგრამ ვაი... ვაი არა,  
აშენდეს ეს საქმე მტკიცე,  
რამაც კაცად განაკაცა,  
გუშინდელი მოლაციცე!

და დირექტორს, ჩვენს დირექტორს  
თუმც ახალი შლაპაც ხურავს,

აჩერებს და ჭირის თფლად  
საარჩევნო ყუთთან სწურავს...

და შედეგიც...

შედეგს თუმცა  
საიდუმლოდ არ ვინახავ,  
მაგრამ, რადგან დირექტორთა  
ძრახვას მიზნად არ ვისახავ,

მით უფრო მის, ხალხის წინ რომ  
გაინახა, გაისაპა,  
მასაც პირად არას ვერჩი,  
ნიშანში მაქვს მისი შლაპა!

რადგან, ვინც რომ ახალ შლაპებს,  
აფარებენ კვლავ ძველს თავებს,  
საარჩევნო ყუთებიდან  
ამოვუთვლი მხოლოდ შავებს!..

ონისიმე



## ბადარჩინილი

**შემოხვევსურეთი.** კოლმეურნეები მადლობას უცხადებენ აგრო-  
ნომ ჩუბინიშვილს, რომ ჭარხლის მოსავლის დაკარგვასთან ერთად  
თვითონაც არ დაიკარგა.

## პრაპტიკული წინადადება

**ტყეზული.** ქვედატყეპის კოლმეურნეობაში მუშა-საქონელს დაუ-  
ჭედავს ამუშავებენ; ამის გამო ხარებმა და ცხენებმა განცხადებით  
მიმართეს საბჭოს: — ან ჩვენ დაგვჭედეთ, ან კოლმეურნეობის უმოქ-  
მედო თავმჯდომარეო.

## ტყის მფცხველი

**ხაშური.** ქაშეთის ტყეში აღმოაჩინეს ტყის მცველი, რომელსაც  
გლეხებმა ხელი შეუშალეს ტყის ქურდობაზე.

## ორი სასწაული

**ფოთი.** მოხდა სასწაული, დღეს გამგემ ვ. ფაჩულიძემ შემთხვე-  
ვით გააღო საფურაუოს სავაჭრო წერტი, რომელიც მთელი წლობით  
დაკეტილი იყო.

**იქიდანვე:** ნავსადგურში დღეს არ გამოცხადებულან ლორები.  
ნავსადგურის მუშაკები ძალიან გააკვირვა ამ ამბავმა.

## იზვიათი უმითხვევა

**ჩხარი.** გადაწყვეტილია სამკითხველოს გამგე კახიძეს გადაუხა-  
დონ მაყარიჩი, რადგან წელიწადში ერთხელ გააღო სამკითხველო.

## ხელმარცხიანი.

**მორი.** მაქსიმ გორკის სახელობის თუზის კოლმეურნეობის წევრს  
წიწილაშვილს კოლმეურნეობიდან მოპარული სიმინდის ტარო ყელ-  
ზე დაადგა, დაზარალებული დაზრჩობას გადაარჩინეს.

# ნიანგის ბრძანება

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მე—ნიანგი, მმუსრავი. ჯაშუშებისა, მავნებლებისა, მოლაყებებისა, ხალხის ქონების გამ-  
ნიავებლებისა, სიმულიანტებისა, ბიუროკრატებისა, კაპიტალისტურ ქვეყნების დაზვერვის  
ორგანოთა ყველა ჯურის აგენტებისა და სხვათა და სხვათა და სხვათა მტრების კვალზე  
წარმავლებისა და მათ წისქვილზე წყალთამსხმელებისა


შეუწყალბლოთა ბავითა ჩემითა

ვბრძანებ:

დაჯილდოვებულ იქნეს ნიანგის ორდენით

ქობულეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგე

ამბაკო ისილორამსძე რობავა.



## საფუძველი:

ქობულეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სისტემატიურად აგვიანებს დებეშებით გაგზავნულ ფულის ადრესატებზე გადაცემის მთელი  
კვირაობით. ზემოაღნიშნულმა განყოფილებამ თბილისიდან მოქალაქე ცინცაძის მიერ გაგზავნილი ფული გადასცა 6 დღის დაგვიანებით.  
მოქალაქე გ. ძ-ის დებეშით გაგზავნილი ფული გადასცა 7 დღის დაგვიანებით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში თბილისიდან ფუ-  
ლის გაცემის განკარგულება დავალების მიღების დღესვე იყო გაცემული და ქობულეთის განყოფილების მიერ მიღებული.  
(„ნიანგის“ ბრიგადის მასალებიდან)

ვინაიდან როგავეს განსაკუთრებული „დამსახურება“: დებეშით გადაცემულ ფულის გაცემის სარეკორდო დაგვიანება  
და ამ „საამაყო“ რეკორდის მუშაობის სისტემატად გადაქცევა მისდა მი რწმუნებულ დაწესებულებაში არ შეიძლება დარჩეს  
აღუნიშნავად, ნიანგი მოუწოდებს მკითხველებს მიულოცონ მოქ. როგავეს ნიანგისაგან უმაღლესი ჯილდოს მიღება შემ-  
დეგი მისამართით:

ქობულეთი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგეს ამბაკო ისილორამს-ძე რობავას.

დედანს საკუთარ ხელს აწერს: ნიანგი.



დედანთან სწორია: შოლტი.

„ვისია

და

ვისია“

ნახ. დონისა.



ნიანგი: — ვისია, ვისია  
აფიშა ლამაზი?

ფარცხანაყანაძის კლუბი: — ჩემია, ჩემია,  
აფიშა ლამაზი!

## მოსე და ლვდილი

ურიათუბნის სკოლის მასწავლებელ მო-  
სე დაგიაშვილს კავშირი აქვს ღვდლებ-  
თან. ის ხშირად დადის ეკლესიაში, მო-  
ნაწილეობას იღებს ქელებში.

„ყველას ეძინა, დღით ფეთქავს რაცა  
თითქოს დალილა მიწაც და ცაცა...“  
მხოლოდ ამ დროს კი ღვდლის წვერის ცან  
ცარს

უცქერდა მოსე დაგიაშვილი,  
ღვდელთან ყმობაში მოჭირნახულე,  
საკურთხის ქამით მადგახსნილი.  
სასწავლო წელის დაწყების გამო  
უხასიათო, წერვებაშლილი.  
ღვდელმა შეჰკვივლა: — ვინა ხარ შენა?  
მტრით მოგზავნილი თუ, გინდა ლხენა?  
მოსე: — ურიათუბნის მასწავლებელი,  
ნუ გამიწყრები, „ბატუშკავ“, შენა!  
მღვდელი: — აჰა?!. მოსე ხარ, დაგიაშვილი?!  
ჩემთან მოსულხარ! რა გნებაეს შენა?  
მოსე: — შენთან სიცოცხლე, შენთან  
სიკვდილი,  
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.  
მღვდელი: — ხოშგელდი, მოსე ყველგან  
ქებულო,

შენი გაცნობა არ არის ძნელი.  
ურიათუბნელ ბავშვმაც კი იცის  
გიყვარს ტაძარი, ქელები ძველი...

შოლტი



ქობულეთის  
კულტურული  
მემორიალი

## ზიანსპოვო გენაცვალები!

ნიანგის ჩასვლას ქობულეთში არავინ მოელოდა. გამონაკლისს შეადგენდნენ ადგილობრივი ნიანგორები, რომლებიც ამ საპატიო სტუმარს სადგურზე მიეგებნენ. ნიანგმა კონსპირაციის დაცვის მიზნით ნიანგორებს საიდუმლო დირექტივა მისცა და დაემშვიდობა.

— როგორ! უკან ბრუნდებით? არ აპირობთ ქობულეთის დათვალიერებას? — შეეკითხნენ გაკვირვებული ნიანგორები.

— არა, მაგრამ ჯობია მხოლოდ პირადი მდივანი და ერთი თქვენგანი დავტოვო და მასთან ერთად ჩამოვუარო ჩემს საკბილოებს; ნაკლებად შეგვაძინებენ. — თქვა ნიანგმა და თავის მსლებლად მხოლოდ ერთი ადგილობრივი ნიანგორთაგანი აირჩია.

— აბა, წავიდეთ! — მოგვმართა მან.

ქუჩაში გამოვედით.

ნიანგმა სადგურიდან ფეხით გასეირნება დააპირა.

— მანქანას მოვუცადოთ! — ვუთხარი მე.

— კი, მაგრამ სადგურში ღამის გასათევი ლოგინი რომ არ არის? — თქვა ნიანგორმა.

— უკვე გათენებულია, რად გინდა ლოგინი?

— ავტობუსში ჩაჯდომა თუ გინდათ, სადგურთან უნდა ვიცადოთ მთელი დღე და ღამე და შეიძლება სამგზავრო ავტობუსი მაინც ვერ ვნახოთ. საერთოდ ქობულეთის ქუჩებში ბევრი რამის ნახვა შეიძლება, მაგრამ ავტობუსის კი იშვიათად. შარშან ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო. მანქანები არის, მაგრამ საქტრანსი და საკურორტო სამმართველო მათ ნორმალურად არ

ამუშავენ. ვისაც სადგურიდან კურორტ ქობულეთში წასვლა უნდა მან შეიძლება-რვა კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს, მივიდეს საკურორტო სამმართველოში, უცადოს ავტობუსის შემთხვევით გამოგზავნას, გამოყვეს ავტოს და მხოლოდ ამის შემდეგ, შეუძლია რკ. გზის სადგურიდან კურორტამდე ავტომანქანით დაბრუნება.

## მძინავი მზათუნახავი

ქობულეთის სასტუმროს „კურორტის“ გამგე მწეთუნახავი სულაც არ არის; იგი გარეგნობით ჩვეულებრივი კაცია, მაგრამ თავის ერთი თვისებით ზღაპრულ მწეთუნახავს მოგაგონებს.

ამ თვისების წერილის შინაარსით და სათაურითაც ადვილად გამოიცნობთ.

უკვე დილის 8 საათი იყო, როდესაც სასტუმრო „კურორტს“ მივადექით. სასტუმროს გამგის კაბინეტში შევიარეთ.

— ნომერი გინდა! გაქვთ თუ არა თავისუფალი!

— არის, მაგრამ ჯერ ვერ მოგცემთ — მიპასუხა სასტუმროს თანამშრომელმა.

— მიზეზი? —

— გამგეს ძინავს, — უთმისოთ არ შეიძლება.

ზღვისპირს მივაშურეთ. ნიანგმა ზღვასთან მიახლოებისთანავე უჩვეულო აღტაცება იგრძნო და ზღვის მშობლიურ ტალღებში შესცურა. თორმეტი საათი იყო, როდესაც ისევ სასტუმრო „კურორტს“ დაუბრუნდით.

— ახლა მაინც გვიჩვენეთ ნომერი! — მივმართეთ თანამშრომელს.


— არ შეიძლება!

## ბრიყვებს ჰგონიათ

გორიშვილის სახ. საბჭოს ზოგიერთ კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეები ჩაის კრფის საქმეში ჩამორჩენის მიზეზად „ობიექტურ მიზეზებს“ ასახელებენ.

(„ქობულეთის კოლმეურნე“)

ნახ. დონის.



— „მიღწევები“ აქვთ ჩაის ფრონტზე შემარცხვენები, ბრიყვებს ჰგონიათ, რომ შორს წავლენ ასეთ „ცხენებით“.



# ქნელი ამოხანა

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის №2-ის ფაბრიკაში სრულებით არ ზრუნავს სტახანოვურ მეთოდის დანერგვისათვის. დღემდე აღნიშნულ წარმოებაში არც ერთი სტახანოველი არ არის გამოვლინებული.

(„ქობულეთის კოლმეურნე“.)

ნ.ბ. ლონის.



ჩაქვის ჩაის ფაბრიკის № 2-ის ფაბრიკის თავმჯდომარე:

— რას ჰქვია სტახანოვური მოძრაობა?! პირველად მესმის!

— მიზეზი? —

— გამგეს ძინავს. — ეპიური სიმშვიდით ზვიპასუხა მან.

სალამოს ცხრა საათზე მესამეთ მივიტანეთ იერიში მძინარე „მზეთუნახავის“ აღმოსაჩენად და ნომრის მისაღებად.

— ნომერი კი გვაქვს, მაგრამ ვერ მოგცემთ. — გვითხრა სასტუმროს თანამშრომელმა.

— მიზეზი?

— გამგეს ძინავს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ მძინარე „მზეთუნახავის“ გაღვიძება და ნომრის მიღება სასტუმრო „კურორტში“ შეუძლებელი საქმეა. სასტუმროს გამგე ჩვენი საკბილოების ფონდში გადავრიცხეთ და გზას გავუღდექით.

## მეგობრები

ზღვისპირზე სეირნობისას ჩემს ნაცნობს ცოლ-ქმარს მოვკარი თვალი, ბავშვებიც თან ახლდათ, ზღვის აბაზანებს იღებდნენ... ბავშვები კარგად იყვნენ, ხოლო მშობლებს კი ორივეს გაძრობოდა ტყავი.

— ხედავ, მზეს როგორ უმოქმედნია?! — შემბრალებელის ტონით წარმოვთქვი მე.

— მზის ბრალი არ იქნება, — მიპასუხა ნიანგკორმა: — ეგენი კერძო სახლებში ისვენებენ და აქაური სახლის მეპატრონეები მდგმურების ტყავს მზეს როგორ დაუთმობენ?! თითონ აძრობენ ტყავს საწყალ დამსვენებლებს: ათმეტრიანი სახურავმონგრეული აივანი თვეში 400 მან. ღირს.

## „სანიმუშო კომკავშირედი“

ქობულეთის სადგურში კედლის გაზეთი გადავიკითხეთ.

„სანიმუშო კომკავშირედი“ — ასეთია გაზეთის სათაური. ჩვენ კი სახელწოდების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, პირაქეთ გვი-

ზიდავს მისი სათაური, მაგრამ, სანამ მისი რედაქციის მუშაკები წერა-კითხვას არ ისწავლიან, მანამდე არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია, რომ ამ გაზეთის „რედაქტორებს“ მაინც „სანიმუშო კომკავშირელები“ ვუწოდოთ.

აი, როგორი „ენით“ ლაპარაკობს ქობულეთის რკ. გზ. სადგურის პარტორგანიზაციის მიერ ობლად მიტოვებული „სანიმუშო კომკავშირედი“:

### გარდამქნატი მე-მ-ე სარსტატოს მუშაობა.

მე-მ-ე სარსტატოში ახალი კადრები რომლებიც იბრძვიან საწარმოვო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებისათვის რომლებიც უზრუნველყოფს საშემოდგომო საზამთრო ტვირთზიდვის ზრუნვას და მატარებლების გაუფრთხილებელ მოძრაობას იბრძვის ახალი კადრი იმისათვის რომ რათა გარდამქნას და გარდატეხა მოახდინოს ლიანდაგის მიზნით ტვირთზიდვას და მატარებლის მოძრაობას მიეცეს დანიშნული... (და სხ).

ნიანგმა გადასწყვიტა დააწესოს განსაკუთრებული ჯილდო იმ მკითხველისათვის, რომელიც ზევით მოყვანილ „წერილების“ შინაარსს გამოიცნობს.

კომკავშირულ სადგურის ქობულეთის მუშაკებო და „სანიმუშო კომკავშირელის“ ყველა მკითხველებო! ემზადეთ ჯილდოს მისაღებად!

ნიანგელი.

## სავარძლის გრალია

ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში ყურადღება არ მქცევია მუშათა ტექნიკურ ცოდნის ამაღლებას.

ნ.ბ. ლონისა.



ჩაის სპეციალისტის ამაღლება სავარძელზე თავის კაბინეტში, რაც ხელს უშლის მუშათა ტექნიკურ ცოდნის ამაღლებას.



— გეტყობათ საუცხოვო გაცურება გცოდნიათ.  
— გამყიდველი ვარ და მაშ რა მეცოდინება!

გამოცანას მოგახსენებ,  
დიდი არაფერიაო,  
თუმცა იგი, რა ფუყოთ, რომ  
ძნელი დასაჯერიაო.

კოლექტივის ქატიონი  
გასუქა თავის ღორი.  
ბიძისაგან შეიყიდა  
მიწა ზომით ქცევა ორი.

კომკავშირის წევრი არის,  
სწამს ქრისტე და მაცხოვარი.  
შვილებს ხუცესს ანათვლინებს,  
(მელაძეა ხუცის გვარი).

ის მიწვანის საწყობებში  
ღამით ჩუმად მძრომელია.  
გამოცანა დავასრულე,  
აბა მითხარ რომელია?

შაბიბანს კერძოდ ჰყიდის,  
აგრონომად მოაქვს თავი.  
კოლექტივის ექვს უღელ ხარს  
დააყენა მან დღე შავი.

რომელია? ხელად გატყვი,  
დათიკოა ხურცილავა.

ძელი თითქოს მიწვანისთვის  
ქუთაისში შეიძინა,  
მოიტანა ამ ხარებით,  
აიშენა სახლი, ბინა.

ამის შემდეგ აღარ ვიცი,  
მისი საქმე როგორ წავა.

წკიპურტაძე

## ს ვ ე მ რ ა ლ ქ ე ლ ე ბ თ ა ნ

— ჩვენი ნიანკორი ხარ, დავალებას გაძლეე და უნდა შეასრულო — მითხრა ერთ დღეს ნიანგმა. შესრულების ვადათ 12 საათი მქონდა. ჩავჯექი ჰაერობლანში და ჰაიდა, გავფრინდი დავალების შესასრულებლად. გადავსერეთ მთები, ზღვა და ქედის რაიონში ჩავფრინდი.

— როგორ ემზადება თქვენი საბჭო საბჭოების ახალი არჩევნებისათვის? — ვკითხე იქაურს.

— სუ! სძინავს არ გააღვიძო! — მითხრა მან.

— პროფორგანიზაციას?

— მან უფრო ადრე დაიძინა.

— მათ თუ სძინავს, მერე რა? სამაგიეროდ მე მღვიძავს — იწყინა ქედის სავაჭრო კოოპერატიული კავშირის თავმჯდომარე ფიფიამ. — კოოპერატიული სალამი თქვენ. — მოგვესალმა ის.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა გააკეთეთ თქვენ უზენაეს საბჭოს არჩევნების მზადებისათვის? — ფიფიამ თავი გლახა ცხენივით ჩაღუნა. პასუხს ველოდებოდით, მაგრამ სირცხვილისაგან თავი მაღლა ვეღარ აიღო, ჩაიკეცა და იქვე მიიძინა.

— სუ! ნუ გააღვიძებთ, ცოდევა — ამბობდნენ იქაურები. სიჩუმე ჩამოვარდა.

— წერილია, წერილი! — დაიყვირა უცებ ფოსტალიონმა და სჩქაროთ გამოვართვი, გავხსენით. წერილში ეწერა:

ამხანაგო ქედელებო! იქნებ გაგიკვირდეთ წერილს რომ გწერთ, მაგრამ ვვაბატით. ადამიანს ყოველთვის უხარია თავისებურს რომ ნახავს. გავიგეთ, რომ უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის თქვენც ჩვენსავით არაფერი გაგიკეთებიათ. ჩვენი სოფლის საბჭო, პროფორგანიზაცია, მხურვალედ მოგესალმებათ. დავადგინეთ, თქვენ გამოვიწვიოთ შეჯიბრებაში. შეჯიბრების ხელშეკრულების დაწერა კი დამავალეს მე.

იმედია არ იწყენთ.

ქრელის პროფკავშირის დავალებით ყოფილი ღვდელი თავფქვილაძე.

წერილის წაკითხვა დამთავრებული არც კი გვქონდა, რომ მოირბინა სიცილით კაცმა, რომელიც აწყვეტილი მოზვერივით შეიჭრა ხალხში და წამოიძახა:

— მივუხვდი, მივუხვდი, მაგათ! განა მარტო ჩვენ ვართ ჩამორჩენილები?.. შეჯიბრებაზე უარს არ ვამბობთ და ჩვენის მხრივ ვიწვევთ ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს, ჩვენ მივწერთ წერილი ზემო ალვანს.

— მივწერთ, მივწერთ, — წამოიძახეს პროფკავშირელებმა.

— მე უკვე დაწერილი მაქვს — ამაყად სთქვა კავშირის ერთერთმა მუშაკმა და დაიწყო წერილის კითხვა:

ზემო ალვანის სას. საბჭოს პატივცემულო მუშაკებო! გისურვებთ ცნობრებაში ჩვენსავით ხანგრძლივ ძილს. არ გვინდოდა შეგვეწუხებინეთ, მაგრამ აბა ვილასთვის უნდა მიგვეწერა, თქვენც ჩვენსავით არაფერს აკეთებთ უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლაში. ძმები ვართ რაღა, ძმები!

მიიღეთ ჩვენი მხურვალე სალამი!

დავალებით ხინკლაძე

წერილი ფოსტალიონს სასწრაფოდ გაატანეს. მეც აღარაფერი დამრჩენია იქ გასაკეთებელი. საათს დავხედე — ნიანგის მიერ მოცემული ვადა უკვე გათავებულიყო. გადავწყვიტე შემდეგ გამოსასვლელ დღეს ჩოხატაურის, მახარაძისა და ჩხარის რაიონებში გადავფრინდე.

ივანიკა

# სხვის თვალი ბენვის გაქაბარნი

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების კლუბში ჩატარდა თათბირი ქალაქში ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ. კლუბში კი გაჩერება შეუძლებელი იყო, რადგან იდგა საპირფარეშოს სუნნი.



**მომსახენებელი** (ჯანგანყოფილებიდან): ჩვენ ქალაქის ცენტრალურ უბნებში უკვე სანიმუშოდ შევქმენით სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

# მოგვიანაჟულე, ნიანგო!

ეროვნული  
კომპარტი

შემოიარე ნიანგო!  
ცამეტ და თოთხმეტ ნომერში ფურცელადისა ქუჩაზე (სულერი თი არის რომელში.)

საქმენი, რაც რომ აქ ხდება ცული რამ სანახავია; გამგეობამა „უაქტისამ“ არ შეიწუხა თავია.

ბევრჯერ დაკეტეს ონკანი, მდგმურები დავრჩა უწყლოთა. ლუკმა ალაღალ ნაშოენი ყელზე დაგვადგა უძვლოთა.

უსუფთაობა აქ რომ არს სადმე იქნება ნეტავი? არავინ არის ეზოთა გამკითხავი და მხვეტავი.

საპირფარეშო გაფუჭდა (ადამის დროის იგია). ყოველდღე სახლის მცხოვრებთა გამართულია რიგია.

გამგეობასა კი სძინავს საღათის ძილით ტკბილითა თუ გააღვიძებთ ნიანგო, მხოლოდ მაგ შენი კბილითა.

ბაძგარი

# ახალი მერიცინაუმი

სამტრედიის პოლიკლინიკას ადგილობრივად არა ჰყავს ექიმი ნერვოლოგი. ამ სამუშაოზე მან მოიწვია ქუთაისელი ექიმი ჯანაშვილი, რომელიც მატარებლების დაგვიანების გამო, ვერ უწევს ავადმყოფებს ჯეროვან მომსახურებას.

როცა ამ საკითხს ვიხილავდი რედაქციაში, ნიანგმა მე და მხატვარ ღონს დაგვავალა ამ მდგომარეობის პრაქტიკულად მოგვარება. ბევრი ფიქრის შემდეგ, ჩვენ შევიმუშავეთ ღონისძიება, რომლის განხორციელებით საქმე მოგვარდება. აი, ეს ღონისძიება:

**ექიმი ჯანაშვილი** (ქუთაისში): — ალლო... ალლო... ჰო, ამოიღე ენა.

**ავადმყოფი** (სამტრედიისში): — ქუთაისიდან რას დაინახავს — ენაზე სიცხე მაქვს თუ არა? (დაეკვებულე ენას ჰყოფს).

**ექიმი:** — კაცო, ამოიღე ენა!

**ავადმყოფი:** — ექიმო, თქვენი ბრძანება შევასრულე. ენა გამოვყავი, მარა მაქედან ვერ ხედავთ თქვენ.

**ექიმი:** — ენა გამოყავი-მეთქი კი არ მითქვამს, დამელაპარაკე-მეთქი.

**ავადმყოფი:** — ჰოო, მე მეგონა ენას მისინჯავდით.

**ექიმი:** — რა გტყვი, რა?

**ავადმყოფი:** — ნერვები, ექიმო!

**ექიმი:** — ალო!.. ალო!... ა. ალო!..

**ავადმყოფი:** — არაფერი მესმის!.. ეს უფრო ამიშლის ნერვებს.

**ექიმი:** — ცოცხალი ხარ?


**ავადმყოფი:** — ისე, რაღა! მეც არ ვიცი.

**ექიმი:** — დაახველე! (ავადმყოფი ახველებს)... კიდევ!.. კიდევ... ახლა ისუნთქე!

**ტელეფონი:** — ხრხრხრ... პიპიფიფი... ბზუბზუბზუბზუ... ხრუხრუხრუხრუ... ხუპ...

მოსალოდნელია, ამ ჩვენმა გამოგონებამ ნერვების დაავადება თვითონ ექიმსაც გადასდოს, მაგრამ სხვა საშუალება ჯერჯერობით ვერ გამოვნახეთ. მართალია, უფრო ადვილია ასეთი ექიმის გამოვნახვა, რომელიც ადგილობრივად იქნება, მაგრამ ჯანმრთელობის განყოფილებას ალბათ გაჯანმრთელება ესაჭიროება.

ი. — ლი



ერთხელ მოლა მასრადინამ  
თქვა: „კაცი ვარ თავმომწონე,  
სხვებს არაფრით ჩამოვრჩები.  
მაქვს ჭკუა და მიჭრის ღონე;

მოდი შევალ კოლექტივში,  
მეც ვიწრომებ სხვებივითა,  
მოსავალი უხვად მოვა,  
დავახვავებთ მთებივითა...“

თქვა და კიდევ შეასრულა  
მასრადინამ განზრახული:  
კოლექტივის წევრი გახდა,  
როცა იყო გაზაფხული.



ბევრი იყო სამუშაო,  
მოლაც თავს არ იზოგავდა  
და ყოველდღე თავის ვირით  
ყანისაკენ მიგოგავდა.

მერეთს თავი მიანება,  
და უარჰყო უფლის ძალა,  
საესებით და სამუდამოდ  
გარდაიქმნა, შეიცვალა.

მასრადინას ბეჯითობის  
ხმა გავარდა მთად და ველად  
და კრებაზე კოლექტივში  
აირჩიეს ბრიგადელად.

ათი კაცი გამოუყვეს  
მასრადინას ბრიგადაში

და მიწების საბარავად  
გაისტუმრეს შორს ყანაში.

თანაც ერთი ლევა ვირი  
გააყოლეს მუხლმაგარი,  
მას აჰკიდეს სამუშაო  
ძარაღი: თოხი, ბარი.

როს შეუდგნენ მუშაობას,  
ხანამ მიწა გაიბარა,  
კოლექტივის ერთი წევრი  
ბრიგადიდან გაიპარა.

გაიპარა დილიდანვე,  
მწვანე კორღზე გაირბინა,  
ტყის მახლობლად ბუჩქში შეძვრა,  
წამოწვა და დაიძინა.

ხან პირადმა გადაბრუნდა  
ხან ცალ გვერდზე გადაგორდა,  
და მთელი დღე სულ იქ დარჩა  
ზარმაცა და ძილის გულა.

მის განზრახვას მასრადინა  
თავიდანვე მიხვდა ხელად,  
მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს,  
თითქოს არ სურს გასამხელად.

სადამოზე, როცა უკან  
ბრუნდებოდნენ, მოლამ გზაზე  
ზარმაცსა და ძილის გულას  
მიმართა და უთხრა ასე:



— შენ მთელი დღე სულ გეძინა,  
რაკი ჩვენ არ გვეფარები,  
ამ ვირს მაინც მიეშველე,  
მოიკიდე ეს ბარები! —

ამ სიტყვების გაგონება  
გაეხარდა ზარმაცს დიდათ,  
გაიფიქრა: „მარტო ამით  
თუ გადავრჩი, მეც ეს მინდა“...



შეუჩერეს სახედარი,  
ისიც ვირთან წამს მივიდა  
და ნაწილი ვირის ტვირთის  
ჩამოხსნა და აიკიდა.

სოფელთან რომ მიახლოვდნენ,  
დაეწიათ სხვა ბრიგადა,  
ქვე ათი კაცი იყო  
და წინ ვირი მიგოგავდა.

საუბრის დროს გამოირკვა,  
რომ ბრიგადებს ორივესა  
თანაბარი ფართობები  
დაებარათ იმა დღესა.

— ჩვენს ბრიგადას უშრომი  
თქვენზე უფრო მამაცურად! —  
თქვა მოლამ და თავმომწონედ  
ხელი წვერზე დააცურა.

— საიდან ჩანს? — კითხეს. უთხრა:  
— ეს არ არის გასაკვირი,  
სამუშაოდ თქვენ გყოლიათ  
ათი კაცი, ერთი ვირი.

დღეს ჩვენთან კი იმუშავა —  
თუ ვტყუოდე მომსპოს ჭირმა, —  
ათის ნაცვლად ცხრა კაცმა და  
ერთის ნაცვლად, ორმა ვირმა.

\* \*

ამის შემდეგ ის ზარმაციც  
სამუდამოდ გამოსწორდა  
დამკვირვლურად ამუშავდა,  
ბრიგადაში ვერვინ სჯობდა.


მალი.

\*) რევოლუციის შემდეგ წარმოშობილ ზოგიერთ თქმულებებში მოლა მასრადინა გამოყვანილია უკვე არა როგორც მოლა, არამედ როგორც ურწმუნო, საბჭოთა ადამიანი და კოლმეურნი. აქ მოყვანილ მასალის სიტუტევი აღებულია ეურ. „ბუნზოენიკ-ში“ (№ 9) გამოქვეყნებულ უზბეკურ ფოლკლორიდან.


# მეგობრის საიდუმლო

ნახ. ჩოტოვისა


„კრავილიანი“  
 ქრისტეშული  
 გიორგიოთაძე



განკითხვის წუთი დასდგომია გამგეს ფერგამკრთალს  
 შიშით ცახცახებს, ენა ებმის, თავს ესხმის რეტი:  
 დაკარგულია! საიდუმლო, მეტად სასწრაფო  
 და უდიდესი მნიშვნელობის სახდოკუმენტი.




მოდის აგენტი, და უფროსი ცრემლიან თვალით  
 მას ევეღრება დაეხმაროს: მონახოს ჩქარა,  
 — აბა, მურიკო, შენებურად აიღე სუნი!  
 გვაჩვენე ხელი ვინ შეახო, ვინ მოიპარა!



შეშფოთდა შიშით მემანქანე და იმავე წუთში  
 აგენტს გულახდით, წრფელი გულით ჩვენება მისცა:  
 — ვნახე... აქ იყო დაგდებული... პო!.. წავიკითხე!..  
 არ შემიძინახავს!.. თუ ვცრუობდე გამიწყდეს მიწა!




როცა მურიკომ შეუტია მნეს გულიაშვილს,  
 ძაგძაგით შეხვდა ის ბრალდებას გულის შემზარავს:  
 — „კი... მართალია... ხელში მქონდა... კი... წავიკითხე...  
 მაგრამ სად გაპქრა, მე არ ვიცი... არ მშიპარავს...“



მეკარემ ყვირილს მოუმატა შეშინებულმა:  
 — რას მერჩის ძაღლი! მე იმისი რა მმართებს ვალი.  
 მე იმ დოკუმენტს რის გულისთვის მოვიპარავდი?  
 წავიკითხე და — მორჩა... მეტი არა მაქვს ბრალი!..



„აწ შემიძლია დავისვენო“ — იფიქრა მურამ:  
 დაწვა იქვე და დამშვიდებით ძილს მისცა თავი.  
 არ იყო გამგე ერთად ერთი თანამშრომლებში  
 იმ დოკუმენტის არც მნახველი, არც წამკითხავი.



ამბავი უბრალოდ დაიწყო:

ერთ მშვენიერ დღეს, საბჭოს ქ. № 3 სახლის მცხოვრებლებმა ერთი ახალი მეზობელი შეიძინეს — მარგო ანანიაშვილი. დიდი იყო მცხოვრებთა ინტერესი მარგოსადმი, ერთი-მეორეს ასწრებდნენ ისინი მარგოს გაცნობას, და ახალი მდგმურიც არ იშურებდა ხელის ჩამორთმევას:

— საბჭოს წევრი, მარგო ანანიაშვილი!.. — ყველას სათითაოდ ეცნობოდა იგი.

შემდეგ დღეებში ჩვეულებრივი სახე მიიღო აქაურ მოზინადრეთა ცხოვრებამ. ჩვეულებრივი — ერთის დამატებით: ძალიან გულთბილი გამოდგა მარგო, გული უტიროდა, რომ მეზობლებს შეუკეთებელ ბინებში ჰხედავდა:

— რემონტი ამხანაგებო, რემონტი გჭირდებათ — აცხადებდა იგი — ბოლოს და ბოლოს რაში უნდა გამომიყენოთ მეზობელი, ამის მეტი სხვა რა შემიძლია?..

და ყველაფერი გაკეთდა რაც საჭირო იყო:

ეზოში გაჩნდა ფიცარი, მიწები და აუარებელი ხის მასალა. ეს ყველაფერი მარგოს წყალობით მოხდა. მეზობლებმაც არ დაიწყეს ხელები გულზე: მშვენიერი წითელი ნუნუა გააჩინეს, შებრაწული ვარიება დაკვივდნენ მაგიდაზე და სავსე ჭიქები „კეთილ მეზობლებს“ აღდგურდებდნენ. ამავე კეთილი მეზობლების მარგო ანანიაშვილისა და საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარის კოროშინაძის თანდასწრებით.

მეორე დღეს ხელოსნებიც გაჩნდნენ ეზოში: მარგოს ბინას დაეჯახნენ და დანგრევა დაუწყეს...

კინალამ ატირდნენ მარგოს მეზობლები:

— სირცხვილია, ცოდოა, რას სჩადის ეს ქალი!.. — ამბობდნენ ერთნი.

— აბა, აბა, ძალიან გულკეთილია საწყალი. ეტყობა მასალა არ ჰყოფნის სხვისი ბინების შესაკეთებლად, და თავისას ანგრევს.

და მარგოს გულკეთილობისგან გაგულკეთილებულმა მეზობლებმა გადასწყვიტეს საყვედური ეთქვათ მარგოსთვის ასეთ საქციელის გამო. მაგრამ მარგო ვანა სასაყვედუროდ წაიყვანდა საქმეს? მეორე დღეს, დილით მარგოს ნაბინარზე ასეთი სახლი დაუხვდათ მდგმურებს: შუშის კედლები, შუშის სახურავი, ერთის სიტყვით ნამდვილი „ბროლის ციხე“.

საბინაო ამხანაგობის გამგე დაბლიდან შეკყურებდა და ამ „ბროლის ციხისაკენ“ ხელგაშვერილი ასე ღიღინებდა:

„თქვენ ხომ იცით ბროლის ციხე როგორ ცამდის მაღალია, შიგა ზის ქალი მარგო და ყელიც მოუღერებია, ჩვენს ხარჯზე ბინის რემონტით გულიც მოუჯერებია“..

ამას „ისე“ ამბობდა გამგე, თორემ ციხეში ჯდომა რა საკადრისია? ვინ აკადრებდა მარგოს ასეთ შეურაცხყოფას!

მეზობლებმა დღეეგატი მიუგზანეს მარგოს, მისივე სეხნია მარო ჩურიკოვა. მიუგზანეს-მეთქი, ბოდიში, კი არ მიუგზანეს, მაგრამ მიასწრო მაროსთან მისვლა:

— რაიო? რემონტი გვინდაო? კი გინდათ რემონტი მარა ვინ არის თქვენი პატრონი.

— თქვენ, თქვენს მეტი ვერავინ გვიპატრონებს.

— რა ვქნა, არ მცალიან, თორემ ისეთ რემონტს ვაგვიკეთებდით, რომ საუკუნოდ გქონოდათ სახსენებლად..

— ჩვენ ბინის შესახებ გელაპარაკებით ამხ. მარგო!

— ბინას უკვე გავუკეთე რემონტი.

— ჩვენ ჩვენი ბინის შესახებ გეუბნებით..

— რომელი თქვენი ბინის, რაღაცა ჯერ თქვენ თითონ სარემონტო საქმე თქვენს ცალოს, მაგ ღრანქს, კეფაჩა მოვიქცევით.

— რას გვერჩი ამხ... — კრინტი, თქვე სარემონტოებო, თქვენა..

ამ შემთხვევაში ძალიან მოითმინა მარგომ. მაგრამ არ მისცეს საშველი, ყველა რემონტის გაკეთებას სთხოვდა. ერთი მდგმურიც არ დარჩენილა, რომ ცხადად ან ჩუმად რემონტის გაკეთება არ მოეთხოვოს. და მარგოსაც ქვის გული ხომ არ ჰქონდა: დაე მყოფილება უნდოდა თუ არა ამდენ თხოვნას. ბევრი იფიქრა მარგომ, იფიქრა და თხოვნის შესრულების მიზნით ხარაიძის ქალს მიუხტა სახლში:

— რემონტი გინდა? მოგიკვდეს ჩემი თავი თუ არ გავიკეთო, ამაზე ადვილი რა არის!..

„სარემონტოდ“ მოქმედი ბოთლი მეზობლებმა გააგდებინეს ხელიდან მარგოს. მაგრამ მუშტიც ხომ ბოთლი არ იყო, რომ გაეგდებინათ: მარგომ ერთი ლაზათიანი „რემონტი“ გაუკეთა ხარაიძის ქალს.

ამ დღიდან დაიწყო მასობრივად რემონტის კეთების კამპანია. მარგომ რეკორდებს დაამყარა პირდაპირ ამ საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეზოს ყველა მცხოვრებს გაუკეთა „რემონტი“, მარგოს მინც ემდურებიან დაუნახავი მეზობლები.

და რა ქნას მარგომ თუ კი მეტი აღარ შეუძლიან?

აქ რომელიმე ზემდგომი ორგანიზაცია უნდა დაეხმაროს მარგო ანანიაშვილს. სააფთიაქო სამმართველოს და ფსიქიატრულ საავადმყოფოს დირექტორებს, რასაკვირველია, არ შევაწუხებთ. სტალინის სახ. რაისაბჭოსა და რაიპროკურორს კი გავახსენებთ: საბჭოს ქ. № 3 სახლში კიდევ არის საჭირო ერთი „რემონტი“ ამხანაგებო!.. გიი.

# „დამსახურებული“ სარეზერვი

ლემსი პროზა

ა. კ. რკინისგზის „წითელჯვრის“ კომიტეტში ბევრმა მლიქვნელმა მოიყარა თავი. აქედან მინდა დავიწყო ეს ამბავი. თავმჯდომარე იაშვილი კინწის კვრით გააგდეს, მაგრამ მისი კულები ანგარიშში არ ჩაადგეს.

მლიქვნელთა თავგულის მეოხებით ყველა საქმე იჩქმალეობდა, ყველაფერი უკუღმა კეთდებოდა. 3.000 მანეთი საქვეანგარიშო თანხებია გასული, სადირექტორო ფონდიდან არავინ იცის სად რამდენია წასული. აძლევდა მლიქვნელებს საჩუქრებს და პრემიებს, წყალობდა: დებს, ძმებს, ბიძებს, ბებიებს...

გაკეთეს მახინჯაურში დასასვენებელი სახლი, ამ სახლმა წითელჯვარს გაკოტრებაზე დაუყენა დახლი. სახლის გახსნის სამყაროში შეგპამეს სახელმწიფოს 3.000 მანეთი. იაშვილმა და მისმა დამქაშებმა, გაიძღეს სული და გული. თუ გადავხედავთ დამსვენებელთა სიას, ასეთი სურათია: იენისში 2 კაცი ისვენებდა, სახლის მოსამსახურე — თორმეტი. ივლისში დამსვენებლები თოთხმეტზე უწია. თითო კაცს თითო მოსამსახურე მოუწია. 30 სექტემბრისათვის აქ 14


კაცი ათედა ღამეს, ამ სახლის გახსნით იაშვილის ძმა-ბიჭებმა თავის თავს ამეს. დასასვენებელ სახლში პირველად იაშვილმა თავის საყვარლებს გაუწყო სუფრა, ამის შემდეგ ზოგს დედა მიყავდა ზოგს ცოლისდა, და ზოგსაც ცოლი. ზარალში მყოფი სახლი ყოველდღე სულს დაფავდა; სახლის გამგე პედენკოც კარგ საქმელებს ოჯახისათვის ქაფავდა.

ამ მავნებლობას ბევრი ხედავდა, ენა კი თქმას რომ ვერ ბედავდა, შეადგინეს მლიქვნელთა თავგული, მობოქეს ფული და მავნებელ იაშვილს უყიდეს ვერცხლის პორტსიგარი, ოქროს კალმისტარი, ფანქარი ვერცხლის საბმით, მიართვეს დიდი ამბით დააწერეს ზედ „სტარომუ ისპიტანომუ ბოლშევიკუ“. ამბის შემდეგ მცირე დრო არც კი იყო გასული, იაშვილმა გამოიძახა ელისაბედაშვილის ასული, გაგზავნა მახინჯაურსა შინა, შემდეგ თითონაც ჩავიდა და ერთად ჰქონდათ მათ ბინა, აღარ მინდა შევაწყინოთ, მკითხველოთაგან, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ეს ამბავი.

ძნელოდლი

სამტრედიის სასტუმროს მშენებლობა ხუთი წელია მიმდინარეობს და მის დათმობას ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

ნახ. დონის.



რიონელს (ქუთაისის რაიონი) ვგისაყვე- ღებთ, რომ ლექსი არ დაგიბეჭდეთ. რაკი დაქინებით მოითხოვთ, ჩვენც გადავ- წვიტეთ თქვენი თხოვნის ნაწილობრივ და- კმაყოფილება და ვბეჭდავთ თქვენი ლექსის დასაწყისს (დასასრული კიდევ უფრო „კარ- ვია“):

ბრევილი მოგწერე წერილი ტურფავ- პახუხს არ მაძლევ, რას იბღვორები? გზაზე რომ შეგხვდე არ გეტყვი „დრასტი“ და მის მაგივრად თავს აგარიდებ.

თქვენი მუქარა: „თავს აგარიდებო“ განუ- ხორციელებელია, რადგან თავი რომ გქონ- დეთ ამისთანა „ლექსების“ წერას დაეხსნე- ბოდით.

ვერ მიცანი-ს (აქვე) არ გვინდა რომ ვა- გიცნოთ, თუ ასეთ ხეპრული ლექსების წერის მეტს არაფერს აკეთებთ:

შენმა წიგნმა დედიკო, გამახარა ძალიან რაც ქალაქში ქალებია ყველა შენი რძალია.

გორემ ქაქუჩილას: (გორი) ნიანგს გა- ელიმა როცა თქვენგან გამოგზავნილ მასალა- თა შორის ასეთი ლექსი წაიკითხა:

...აი, ობობა ბადესა ქსელავს მზადაა ბადე... ჰაერში ელავს.

ზე თვალსაჩინო შარავგზავდა წუწუქმა ობობა ბადე დაავო-

და ამ გზაზედა ბუზი, ბუზილა, მოლიღინებდა ქოსატყუილ ა...

ბუზს რას ერჩით, როცა თქვენ თვითონ ყოფილხართ ქოსატყუილა, რადგან აქ მოყვა- ნილი მასალა, რასაც თქვენს შემოქმედებად ასაღებთ გადმოქაფულია სიტყვა-სიტყვით 1909 წლის იუმორისტულ ჟურნალ „მათრახი და სალამური“-დან (№ 6 გვ. 13. „ბუზები“).

მიდის. ბიბლიოთეკაში წიგნებს ვეღარ ნა- ხავთ. ბიბლიოთეკის მუშაკსაც აღარავინ აწუ- ხებს. გარდა ბუზებისა და უსაქმოდ თელემისა. ამ რაცწინადადებისათვის ავტორებზე მოველით ნიანგისაგან შესაფერ ჯილდოს.

კლიმო ქალიაშვილი

ჭიკჭიკი მერცხლების ღორინი კვარსხები

„რასი უნალიზატორები“

ამხანაგო ნიანგო! თბილისის პირველ საა- ვადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაზე მო- გახსენებთ. დიდი ნიჭიერი ხალხი არიან აქ მო- მუშავენი. მათ გამოგონებაც ბევრი აქვთ. მა- გალითად გამოიგონეს, რომ ბუზების საჭე- ტერი „მუხამორის“ ნაცვლად ხმარობენ ავაღ- მყოფის შუბლს. ვთქვათ, ავადმყოფს დააჯ- და ბუზი შუბლზე. ის ავადმყოფმა მისვე ხე- ლით შუბლზე უნდა დააკლას. ამ გამოგონე- ბამ მართალია, ზიანი მიაყენა ერთ ავადმ- ყოფს, (მაგრად მოუხდა შუბლზე ხელის დარტყმა და შუბლი დაუზიანდა), მაგრამ შე- დეგი მაინც არის.

არის ასეთი რაციონალიზატორელი წინა- დადებამ: საცვლებისა და თეთრეულის მაგი- ერ ავადმყოფებს აძლევენ თხელ საბანს, იმი- ტომ რომ თეთრეული არ გაჭუჭყიანდეს. ბუ- ზების საწარმოო თათბირზე დიდი აღშფო- თება გამოითქვა საავადმყოფოში ობობას ქსელის გამრავლების გამო. უდანაშაულო ბუზები საცოდავად არიან ჩამოკიდული ობო- ბას ქსელში. მოგახსენებთ ერთ რაცწინადა- დების შესახებაც, რომელიც ეკუთვნის ეჭი- მის თანაშემწეს ნანა ფარნაძეს. — ყველა ავადმყოფს ერთი ჭიქით ასმევს წამალს: კო- ლექტიურად რომ წამალს დაღვეთ, ის უფ- რო მარგებელიაო. — თან ჭიქის ეკონომია- აო. — ამბობს ის.

აქ ბიბლიოთეკის მუშაობაზეც ხდება ცდები. ბიბლიოთეკის გამგემ წამოაყენა წი- ნადადება, რომ ბიბლიოთეკაში არც ერთი წიგნი არ არის საჭირო. ეს წინადადება მო- უწონეს მას. ცდები ჯერჯერობით კარგად

კუ: — ჩემზე ამბობენ — ტემპები არ უფარგაო. დედამიწის გარშემო ორჯერ შემოვიარე და ამათ კი ეს შენობა ვერ დაამთავრეს!

ამხანაგო ნიანგო! სოფ. ტიბრისის კლუბზე და მის გამგე ბ. ტატუნაშვილზე მოგახსენებთ. მზიარული ყმაწვილია ტატუნაშვილი. ის კლუბზე არ ზრუნავს, კულტურულ მუშაო- ბაზე არ ფიქრობს, სამაგიეროდ მას ძალიან უყვარს მერცხლების ჭიკჭიკი. მერცხლებიც მიუხედავად გულის წადილს ტატუნაშვილს და მის პატივისცემად კლუბში გაიკეთეს რამდე- ნიმე ბუდე.

— იგალობეთ, ჩემო მშვენიერებო! — სია- ზონებით შესძახებს ხოლმე მერცხლებს ნა- პალეონის პოზაში მდგომი კმაყოფილი ტა- ტუნაშვილი. ტატუნაშვილს არც ქათმები სძულს. ქათმებსაც უყვარს ტატუნაშვილი. •პიტომბა, რომ კლუბის დარბაზში გლეხების ქათმებმაც მოიყარეს თავი. გაიკეთეს ბუდე.

— ნეტავ გლეხები ვერ გაიგებდნენ, რომ ზათი ქათმები ჩემს კლუბში დადიან, ხუმრო- ბა ხომ არაა მათ თუ კვერცხების დება დაი- წყეს ავშენდი და ისაა, — ხშირად იტყვის ზოლმე ტატუნაშვილი. მხოლოდ ერთი აფიჭ- რებს ტატუნაშვილს — მერცხლები ხომ შე- შოდგომამზე გადაფრინდებიან. მაგრამ არა უშავს რა, — ამბობს ის, — მოშვიებს მოვიჩვევ და საქმე გაიჩარებებაო.

ნიანგო! კარგი იქნება მერცხლების გადა- ფრინამდე კლუბიდან გადააფრინდეთ ტატუ- ნაშვილს. ტატუნაშვილის ნათესავი



ქართული  
ბიბლიოთეკა

# ნოკაუ



ჩინეთში საბჭოთა კავშირის საელჩოზე თავდასხმელი იაკონელი: — უტყუარი საბუთები აღმოვაჩინეთ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ემზადება მშვიდობიან ტოკიოზე თავდასხმისათვის: ვაზა, სავარძელი, კედლის საათი... ჩვენ ამ წივთებს არავის არ დავუთმობთ, ჩვენთვის დავიტოვებთ.